ეროვნული ბიბლიოთეკა


# საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

**რედაქცია და კონტორა:** ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 11 რედაქცია და კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფ. № 15—73. წერილების გამოსაგზავნი ადრესი: თბილისი „საქართველო" ფოსტის ყუთი № 76

**განცხადებანი:** განცხადება მიიღება ნაშუადღევის 1-ლ საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 10 მ. მე-4 გვერდზე—8 მ. სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—350 მ. 1-ლი საათის შემდეგ 200 მანეთით მეტი.

**ხელის მოწერა:** გაზეთი „საქართველო" ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—300 მან. ცალკე №—10 მ.

ყოველდღიური გაზეთი. კვირა, ენკენისთვის 19. 1920 წ. № 103 ფასი 10 მანეთი


დღეს ენკენისთვის 19-ს სახაფხულო **ქართული კლუბის** დარბაზში დილის 12 საათზე

ევროპიდან ახლად დაბრუნებული ბ-ნი

## გ. ზ. გვაზავა

დამფუძნებელი კრების წევრი

## წაიკითხავს ლექციას

„ევროპის პოლიტიკური მდგომარეობა და საქართველო"

შინაარსი: ა) ვერსალის ხელშეკრულება.
ბ) ერთა ლიგა, ეროვნული იდეა.
გ) ბოლშევიკური მოძრაობა და დასავლეთი ევროპა.
დ) პოლონეთის საკითხი და ამერიკის ნოტა.
ე) საქართველოს საკითხი და ეკონომიური პოლიტიკა.
ვ) დასკვნა.

ბილეთები იყიდება კლუბის კასაში

ეროვ. დემოკრატ. სტუდენტთა და ახალგაზრდათა კომიტეტი.

---

მწუხარებაში მყოფნი მშობლები დეკანოზი გიორგი და ნატალია ანდრიას ასული, ძმები დავით, შალვა და გრიგოლ, დები მინადორა სმირნოვისა და მარია იანქოშვილისა, და რძლები: სოფიო იოსების ასული და ელენე კონსტანტინეს ასული, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

## ალექსანდრე გიორგის-ძე მარინაშვილი

გარდაცვალებიდან ნახევარი წლის შესრულების გამო, კვირას 19 სექტემბერს დილ. 10 საათ. დიდუბის ტაძარში გადახდილ იქნება წირვა, ხოლო მიცვალებულის საფლავზე იმავ ტაძრის გალავანში პანაშვიდი 12 საათზე. 3135 1—1

---

## ეროვნულ-დემოკრატიული

## პარტიის მთავარი კომიტეტი

მოთავსებულია კვლავ ძველ ბინაზე დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5. ქარვასლა.

მდივნის ნახვა შეიძლება დილის 8—11 და საღამოს 7—9 საათამდე.

---

## ქართული დრამის დირექცია

იწვევს თანამშრომლებს

## პალ-ვაჟებს

სამსახური ჯამაგირიანია.

გამოცდა სამშაბათს **21** ენკენისთვეს, დილის **10** საათზე, ქართული დრამის თეატრის სცენაზე (ყოფილი არტისტ. საზოგადოების თეატრი) პირობების გაგება იქვე, ყოველდღე, დღის **2**-ის ნახ. საათამდე, სამხატვრო ნაწილის გამგე-დირექტორთან. 3—17—2

---

## სეზონის გახსნა

დღეს 19 ენკენისთვეს

## სახალხო სახლი

ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება

## „ლალატი"

დრამა—ლეგენდა 5 მოქ. ა. სუმბათაშვილისა თარგ. ყიფშიძისა.—ადგილების ფასი ხახალხოა 50 მან — 5 მან.—დასაწყისი 8 საათზედ. 31 1—1

---

## საორგანიზაციო კომიტეტი

გურიის სავაჭრო ბანკი ქ. ლანჩხუთში

ამით აცხადებს, რომ კვირას, ამა სექტემბრის 26, დილის 10 საათზე, ადგილობრივ თეატრის შენობაში, დანიშნულია ზემოხსენებული ბანკის

## აქციონერთა

## დამფუძნებელი კრება,

რომელზედაც გაირჩევა შემდეგი საკითხები:

1) გურიის სავაჭრო ბანკის გახსნა ქ. ლანჩხუთში და მიღება ლანჩხუთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების აქტივისა თუ პასივისა.
2) ახლად დაარსებული ბანკის წლიური ხარჯთ აღრიცხვა.
3) ბანკის გამგეობის, საბჭოსი და სარევიზიო კომისიის არჩევა.
4) სხვა და სხვა კითხვები.

**შენიშვნა:** თუ აქციონერი რაიმე მიზეზით ვერ ესწრება საზოგადო კრებას, შეუძლია მას თავისი უფლება სხვას გადასცეს, ისევ ხმის უფლებიან აქციონერს, მაგრამ ერთსა და იმავა პირს არ შეუძლია საზოგადოთ ორ ვექილობაზე მეტი ქონდეს. ვექილობა ხმის მისაცემათ უნდა დაიწეროს წერილის სახით, რაიც უნდა წარედგინოს საორგანიზაციო კომიტეტს და მათ რწმუნებულებს არა უგვიანეს სამი დღისა საზოგადო კრების დღემდე.

გურიის სავაჭრო ბანკის საორგანიზაციო კომიტეტი ქალაქ ლანჩხუთში. 3133. 6—1.

---

ამ წლის ენკენისთვის 12-დან კვლავ გამოდის ყოველ კვირეული სამეურნეო, საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი

## „სასოფლო გაზეთი"

გაზეთს ექნება შემდეგი განყოფილებანი:
საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მებაღეობა და მევენახეობა, მესაქონლეობა, ვაჭრობა-მრეწველობა, კოოპერაცია, სახალხო განათლება, სახალხო მკურნალობა, სასოფლო ცხოვრება და სხვა...

„სასოფლო გაზეთში" მონაწილეობას მიიღებენ მცოდნე სპეციალისტები და გამოცდილი მეურნენი.

რედაქცია თავის მკითხველებს მიაწვდის რჩევას და დარიგებას იურიდიულ, სამკურნალო და სამეურნეო საკითხებში.

გაზეთის ფასი თვიურად 40 მან. [illegible] ცალი 10 მან.

კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9—2 საათამდე, [illegible] პროსპექ. № 25, გაზ. „საქართველოს" ბინაზე. 24 7—1

---

## ფორტეპიანის კლასი

## ია. ლ. პორტუგალოვის

მოწაფეთა მიღება ყოველდღე 12—3 და 5—7-დის.ველიამინოვის ქ. № 3 ქალაქის თვითმართველობის გვერდზე. 10—3130—1

---

სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვით დაარსებული

## პირველი ქართული

## ბუხჰალტერიის კურსები

## ალ. მ. საათაშვილისა

(წელიწადი მეოთხე)

ყველა საგნები სპეციალურად ქართულ ენაზეა. პირობის გაგება შეიძლება დილის 10—12 საათ. და საღ. 4—6 საათამდე ტფილისი, დუშეთის ქუჩა, სახლი № 9. წყნეთის ქუჩასთან ახლოს, ტრამვ. №№ 5 და 9. 3137 1—1

---

## მოითხოვეთ ყველგან

ბუნებით დაჯილდოებული-საუკეთესო ხარისხის

## კ ო ნ ი ა კ ი

გაწმენდილი-პურის არაყი და ტკბილი სასმელები

## დ. ი. კალანდაძისა

შეიძლება მიიღოთ ბითუმად და წვრილად თვით ქარხანაში ვაკზლის ქ. № 5

---

## ერაძე—ადენაკა.

ერაძე უცბად დიდი კაცი შეიქმნა. ყველაზედ უფრო რთული საქმე მას ჩააბარეს. დაავალეს და იმანაც იკისრა გამოლოლოდა რესპუბლიკის გამოკვებას და სიძვირის დამარცხების სტრატეგიას: მართალია, ერაძეს არც თვალი ჰქონდა გაჩვეული, არც ტვინით და არც ხელი რომ სახელმწიფო მაშტაბში ეწარმოებინა ამგვარი ხასიათის საქმე. მაგრამ ეხლა სხვანაირი დრო დადგა, ყველაფრის „დემოკრატიზაცია" ხდება და რევოლიუციური ნახტომით ბავშვები ვაჟკაცებად იბადებიან და გუშინდელი პატარა კოოპერატივის ნოქრები დღეს მინისტრებად ხდებიან!

სულ სხვა საქმეა, თუ რა სარგებლობა აქვს ამით ქვეყანას; დროის ლოლიკის ძალით დღეს ერაძის ხელში ტრიალებს საქართველოს რესპუბლიკის მილიარდები, სწორედ მილიარდები და არავინ იცის, თუ რა მოგებით ატრიალებს იგი ამ მი-

ჰიან დებს. ათი თვეა სამინისტრო არსებობს და დამფუძნებელ კრებამ დღესაც არ იცის, თუ როგორი შტატი ჰყავს ამ სამინისტროს, თუ რომელ მოხელეს, რამდენი ეძლევა, მინისტრი არ გამოსულა დამფუძნებელი კრების წინაშე არც ამის მოსაგვარებლად და არც მისი პოლიტიკის ანგარიშის წარმოსადგენად.

ვიცით მხოლოდ, რომ მომარაგების მინისტრისა და მის ხელდამსმელი პარტიის წყალობით, თუ როგორ დაიღუპა საქართველოში თამბაქოს მეურნეობა და რამ გაზიდული თამბაქო, ნაწილად დაბალ ფასებში გაიყიდა და ნაწილად გაუსაღებელი ჰყრია და ყოველ დღეს ახალ-ახალი ხარჯი ზედ ეკეცება. ვიცით, რომ მინისტრი ერაძე საქონლის რეალიზაციით აღებულ ფულს ხაზინაში კი არ ეზიდება, არამედ თავისთან ატოვებს, ვიცით რომ მის სამინისტროდან ქურდებს ტომრებით ფული გააქვთ და რომ ფარული არ გვწყალობდეს, ეს ტომრები დღეს დაკარგული იქნებოდა. შეიძლება მინისტრმა არ იცოდეს რომ იგი ვალდებულია ეს ფული ხაზინის კასსას ჩააბაროს რომ არ სკოდნოდა კიდევაც, ამდენ ხანში ეს უნდა შეეთვისებია, იმდენჯერ მიუღია მას ამ საგანზედ გაკვეთილები ამხანაგებისაგანაც და მოპირდაპირეებისაგან. მაგრამ ერაძე „დიკტატორია“, ის დიდი კაცია და არავის ანგარიშს არ აძლევს. ვიცით რომ ერაძემ პურის მომარაგება დაიწყო და რომ ამ საქმეს თავი ვერ აართვა. მისი პური არ იჭმევა; და ამ პურმა მას ხალხი აუჯანყა: მუშებიც, სამინისტროების მოსამსახურენი. ალბათ დამფუძნებელი კრებაც აუჯანყდებოდა, რომ დაისვენებლად წასული არ ყოფილიყო და სხვა პურს არ შეექცეოდეს ვიცით რომ ერაძის პურის ოპერაციას, ჩვენთვის მილიონების ზარალი მოაქვს, მაგრამ ეს სოციალისტური კომერციაა და ხანამ ამ საქმეში სოციალისტი დგას თავისი წესდებით მოქმედებას აბა ვინ დაუშლის.

ვიცით რომ ერაძის სამინისტრო ხელგაშლით მოქმედებს, მილიონებს აძლევს ისეთ პირებს, რომელთაც არავითარი საზოგადოებრივი მდგომარეობა არ აქვს და არც საკუთარი სახელის და ღირსების დაცვის მოთხოვნილება აბადიათ. არ ვიცოდით და ბ-ნი ერაძის ამ სამდღის წინანდელმა ბრძანებამ გვამცნო, რომ მას თბილისის კოოპერატივთა კავშირის თავმჯდომარე ადანაია ამ ორი თვის წინად რწმუნებულად აუყვანია ხორბალის მომარაგებისათვის ბორჩალოს მაზრაში და რომ ამ ადანაიასთვის მყისვე ხელში მიუცია რამოდენიმე მილიონი, როგორც ჩანს 9 მილიონი მანეთი.

ადანაია ამ ფულს თბ. კოოპერატივთა კავშირის საჭიროებას მოახმარს და მთელი ორი თვე ატრიალებს. მომარაგების სამინისტრომ მთელი ორი თვე არ იცის არც თავისი ახალი მოხელის სადღეგრძელო ამბავი და არც ამ თავისი მილიონების ისტორია! წესი და მეთვალყურეობა სწორედ ასეთი უნდა! მერმე ეს ეს ყვლაფერი აღმოუჩენიათ, მინისტრი ითხოვს ადანაიას სამსახურიდან, მათ სამართალში აძლევს და თანაც აღნიშნავს, რომ ადანაიას სრულებით არ ცოდნია არც თავისი მოვალეობა და არც მნიშვნელობა და ხასიათი იმ საქმისა, რომელისთვისაც ის აღუჭურვია სამინისტროს ნდობითა და მოუწოდებს მთელ დემოკრატიას გააკიცხოს იგი... ეს ყველაფერი მართალია მაგრამ ჩვენ ვეკითხებით ბ. ნ ერაძეს, ნუ თუ მან თვითონ საცემლებით იცის თუ თავისი მოვალეობა, ნუ თუ მან იცის მნიშვნელობა და ხასიათი იმ საქმისა რომლისთვისაც იგი აღჭურვა ნდობით მისი პარტიული ხელდამსმელი დამფუძნებელი კრების მიერ?!

თუ თუ პ რ დი ცოდნის გამოცდილების, განათლების და საზოგადოებრივი მდგომარეობის მხრივ თქვენ მეტი უფლება გქონდათ ხელი დაგედოთ მომარაგების მინისტრის პორტფელი, ვიდრე თქვენს ადანაიას—სამინისტროს რწმუნებულის პორტფელი ხორბლის სასყიდლად? და თუ თქვენ ხედავთ რომ ადანაია არ იყო თავის თამდებობის სიმაღლეზე, მთელი ქართველობა ხედავს, გარდა პარტიული სიბრმავით შეპყრობილი თქვენი ამხანაგების ერთი წრისა, რომ თქვენ არა ხართ თქვენი პოსტის სიმაღლეზე. თუ ადანაიას ხელში 9 მილიონს აებნა გზა, თქვენს ხელში ასეულ და ორასეულ მილიონებს ებნევა გზები. და ის ზარალი, რომელიც თქვენს უსისტემობას, უვიცობას და გამოუცდელობას მოაქვს, ქართველი ხალხის ზურგზე უჩ და ანაზღ ურდეს. საზოგადოება ელის იმ მომენტს, როდესაც გაილვიძებს თქვენი მოწონებული შეგნება და თქვენს თავს ელტყვით და მიუსჯით სწორედ იმას, რაც უთხარით და მიუსაჯეთ ადანაიას.

## 100 მანეთი.

გირვანქა პური ასი მანეთია, ისეთი პური, რომლის ჭამას მხოლოდ დამშეული ორგანიზმი თუ გაბედავს. სულ დაბალი ხარისხის პური 50—60 მან. ფასობს, მაგრამ ამ პურის ჭამა, ცოტა თუ ბევრად ხანგრძლივად, შეიძლება კაცს სიცოცხლის ფასადაც დაუჯდეს. მუშათა მაგიდის პური, რომლითაც იკვებება თითქმის მთელი ქართველი ინტელიგენცია და მუშა-მოსამსახურენი, პირდაპირ ტალახს წარმოადგენს და მისი ჭამა შეუძლებელია. ეს პური მზადდება და რიგდება მომარაგების სამინისტროს ხელით, რომელსაც ღმერთი ისე გასწყრომია და დავთარი ისე დაბნევია, რომ თვისი თითქმის ერთი წლის არსებობის განმავლობაში, უბრალო საქმე ვერ მოუწყვია,—პურის ფქვილის სუფთად დამზადება და პურის რიგიანი გამოცხობა. ერაძის პური იმდენად უვარგისი იყო რომ თვით მუშებიც კი იძულებული-შეიქნენ თვისი მუშა მინისტრის წინააღმდეგ მიტინგები მოეწყოთ და პროტესტი გამოეტანათ. ასევე ჰოიქცნენ სხვა და სხვა სამინისტროების მოსამსახურენიც. ამ კამპანიამ თითქმის უშედეგოთ ჩაიარა და დღესაც ბატონი ერაძის სამინისტრო ყოვლად უვარგის პურს აწვდის რესპუბლიკის მოქალაქეთ; ჩვენში რომ უკეთ იყოს დაყენებული საზოგადო ჯანმრთელობის თვალყურის დევნა, პროცენტებით შეიძლებოდა გამოანგარიშება, თუ რამდენი კაცი გახდა კუჭით ავადმყოფი ამ საწამლავი პურის ხმარებით. ბ ნი ერაძის მთელი შემოქმედების და მთელი მისი მუშაობის დაფასება შეიძლება ამ პურის ხარისხით. როგორც ეს პური უვარგისია კუჭისათვის, ისე ბ-ნი ერაძე და მისი სამინისტროც უვარგისია ჩვენი სახელმწიფოს მექანიზმში.

ერაძისა და მისი სამინისტროს სრული უმწეობა, იქიდან სჩანს, რომ მათ ვერ მოუხერხებიათ თბილისის ბაზრის მბრძანებელი გამხდარიყვნენ, მიუხედავათ იმისა, რომ მათ ხელში ასეული მილიონები კი არა, მილიარდები ტრიალებს და რომ შეუძლიან ყოველგვარი ზომების მიღება საკუთარი გამომუშ. გეგმის აღსრულებაში მოსაყვანად! ხოლო თბილისის ბაზრის დამორჩილება მოასწავებდა ბაზრის დამორჩილებას მთელს საქართველოში! ერაძემ და მისმა სამინისტრომ კი პირიქით ხელი შეუწყვეს პურის ფასის ზრდას; გორისა და ბორჩალოს მაზრაში ერთი სამად ნაკლებია ფასები, ვიდრე ქალაქ თბილისში. ეს არის მისი ბრძენი პოლიტიკის შედეგი. მაგრამ ბ.ნი ერაძე და მასთან რესპუბლიკის მთავრობა ამ პოლიტიკას ტაშს უკრავენ. სატრაბახოთ ის აქვთ, რომ მუშათა მაგიდა მოაწყვეს და რომ გირვანქა პურს 5 მ. 50 კ. ჰყიდიან, იმ პურს, რომელიც ბაზარზე 45 მანეთათ იყიდება. რა დიდი ჭკუა უნდა პურისა თუ სხვა საქონლის იაფად გაყიდვას, რა დიდი სიბრძნე—ზარალით ვაჭრობას. ამაზედ ადვილი არაფერია; ეს ოპერაცია ყოველ ბრიყვისთვის ხელმისაწვდომია. გაფლანგვა და განიავება ჭკუას და ცოდნას არ მოითხოვს: რა ვუყოთ, რომ ერაძე და რესპუბლიკის მთავრობა ყოველ გირვანქა პურში, რომელსაც 5 მ. 50 კ. ჰყიდიან, ორ თუმანს მაინც ზარალობენ. ეს მათი ჯიბიდან არ იფარება, არამედ ხალხის ჯიბიდან. აბა სცადონ და საკუთარი საქმის წარმოება განაგრძონ ამ პირობებში, თავიანთი საკუთარი „ნორმით“ ივაჭრონ ასე!... ამგვარად, ერაძის პურის პოლიტიკა თუ ერთის მხრით პურის ფასის აწევას იწვევს, მეორეს მხრით ხაზინის ხარჯზე, წინდაწინ გათვალისწინებული ზარალით ვაჭრობს. ვალი ნდება ხაზინა, ხალხი, თანაც სიძვირე მატულობს. ბოლშევიკური რუსეთის ფასები მყარდება ჩვენშიაც პირველ საჭიროების საგნებზე. ცხოვრება აუტანელი ხდება. ინტელიგენცია წელში გაწყდა და მორალურად დაიტანჯა. ფართო საზოგადოება ფიზიკურად დაუძლურდა. რაც დრო გადის, მდგომარეობა უფრო და უფრო რთულდება. ერაძის პოლიტიკას გამოსავალი კარები არაქვს, მას მხოლოდ დაღუპვისკენ მივყევართ.


**კინემო-მინიონი**
19. 20 და 21 ენკენისთვეს.
დღეს 19 დღით
1-ლ საათზე

**ლალი ძველი დრო**

სპეციალურად იდგმება და მოწვეულნი არიან მწერლები, არტისტები, რეჟისორები, პოეტები, მხატვრები, ლიტერატორები და სხვა ხელოვნების ქურუმნი, რომლებმაც უნდა შეაფასონ სურათი.

მხატრული დრამა რუსულ ცხოვრებიდან 5 ნაწილად.

**„მუდმივი ქალაქი“**
სოციალური კინო-რომანი 8 ნაწილად.

**ნარაკოვასი** და **ასტი გრაის** მონაწილეობით
ხოლ კეიშის რომანიდან
დადგმა დანგელისა
უმთავრეს როლში არტისტი
**პაოლა ფრედერიკი**

[illegible] ხანის გამო 22 ენკენისთვიდან. დაწვრილებით აფიშებზე და გაზეთებში.


# დეპეშები.

## გერმანული პრესა.

**ტრედ-უნიონთა დელეგაცია.**

რუსეთის ტრედ-უნიონთა წარმომადგენლებმა რომელნიც რუსეთის 5 მილიონ პროლეტარიატის ნება-სურვილს გამოხატავენ [დაათვალიერეს ნორვეგია იყვნენ გერმანიაში და უნდათ დაათვალიერონ იტალია ინგლისი და სხვა.

საქსონიის დამოუკიდებელ სოციალისტთა პარტიამ გადასწყვიტა კენჭის ყრით გამორკვიოს პარტიის მოსკოვის მოავგრობასთან დამოკიდებულება. ოლდენბურგის და აღმოსავლეთ ფრისლანდიის დამოუკიდებელ სოციალისტთა პარტიამ უარყო მოსკოვის პირობები.

„ფორვერტსი“ აღნიშნავს, რომ ზემო სილეზიაში ჯერ-კიდევ არაა მშვიდობიანობა და წესიერება.

## ლ. ონის ცნობები.

იტალიაში წასვლის წინ ჯიოლიტმა მილერანს სამადლობელი დეპეში გაუგზავნა. საფრანგეთის წარმომადგენელმა საპასუხო დეპეშაში ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ამ შეხვედრამ გააძლიერა მჭიდრო კავშირი ლათინთა ორ ხალხს შორის.

მოკავშირეთა ტრიბუნალმა კაშოვიცაში გაარჩია 9 გერმანელის საქმე, რომელთაც ბრალდებოდა საფრანგეთის ჯარების წინააღმდეგ სროლა ამ რამოდენიმე ხნის წინად მომხდარ არეულობის დროს. თვითოეულ მათგანს ხუთი წლის ციხე მიუსაჯეს.

პენლევემ პრესის წარმომადგენელთა თათბირის დროს აღნიშნა ჩინეთის რევოლუციის დიდი მნიშვნელობა. მისი აზრით ჩინეთი მეოცე საუკუნეში დიდ როლის ითამაშებს, ჩინელებს ისეთივე ნიჭი აქვთ მეცნიერების შესწავლაში, როგორც ევროპიელებს. იმათ არა აქვთ მეცნიერების ცენტრი და დიდი სახელმწიფოები უნდა დაეხმარონ ჩინეთის პირველად ჩინელ მეცნიერთა შემქნაში მაშინ ჩინეთი ძველ საპატიო ადგილს დაიჭერს განათლებულ ქვეყნებს შორის.

**ამერიკის აზრი საფრანგეთზე.** წერილში, რომელსაც სათაურად აქვს „საფრანგეთის რეაბილიტაცია“ აწერილია ომიანობისაგან შექმნილი მდგომარეობა საფრანგეთისა. საფრანგეთის ომით დანგრეული ოლქები მშვიდობიანობის დროს იძლეოდა 14 პრო. ხორბალს, 77 პრ. შაქარს, 55 პრ კანაფს, ქვანახშირს, 80 პრ. შალეულობას და სხვა, ეს ოლქები საექსპორტო საქონლის 20 პრ. ამზადებდნენ.

ბოლშევიკების საზავო დელეგაცია რიგას მივიდა აქვე უნდა მივიდეს პოლონეთის დელეგაციაც.

## საინფორმაციო განყოფილების ცნობები

**„ფიგარო“ ბოლშევიზმის შესახებ.**

პარიზი, 10 ენკენისთვე. „ფიგარო“ ბოლშევიზმის საკითხს საფრანგეთის წერილს უძღვნის: ვინც კი ნახულობს საბჭოთა რუსეთს, აღნიშნულია წერილში, იქიდან საშინელ შთაბეჭდილებით ბრუნდება. გამონაკლისს შეადგენს კამენევი, რომელიც რუსეთს გულუბრყვილოდ უქებდა. „წმინდა რუსეთი“ საშინელებათა და სიკვდილის ქვეყნად გადაიქცა. ბოლშევიკებმა დაანგრიეს იგი. მცხოვრებთა მორალური განწყობილება მატერიალურ სილატაკეზე უფრო საშინელია. „ილიუსტრასიონის“ კორესპონდენტი სწერს: ხალხი გაგიჟდა, ბოლშევიზმმა სექტანტური მოძრაობის ხასიათი მიიღო. ამ მოძრაობის საფუძველს სიმკაცრე შეადგენს. წერილის ავტორი აღნიშნავს ფილოსოფიურ ხიახლოვეს ლენინს მიმდევართა და ნიცშეანელთა და ჰოჰენცოლერთა თაყვანის მცემლობის შორის რომელთა აზრით სახელმწიფომ არ უნდა მიაქციოს ყურადღება პიროვნების ტანჯვას და რომ პიროვნება მსხვერპლად უნდა შეეწიროს სახელმწიფოს.

**საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა.**

პარიზი, 10 ენკენ. „მატენი“ იხება რა საფრანგეთისა და პოლონეთის შორის არსებულ დამოკიდებულებას, აღნიშნავს, რომ მილიერანი მომავალშიაც პატარა ერების დახმარების პოლიტიკას აწარმოებს. ეს გამოიაშკარავდა პოლონეთისა და უნგრეთთან დამოკიდებულებაში და ეს გამოჩნდა ყველა იმ სახელმწიფოსთან დამოკიდებულებაში, რომელიც საფრანგეთის დახმარებას საჭიროებს. რა თქმა უნდა ამ დახმარებას დადებითი მხარეები აქვს თვით საფრანგეთისთვისაც, რომელიც თავის გავლენას ჩეხო-სლოვაკიაზე, ზემო სილეზიაზე პოლონეთზე, რუმინიაზე და სამხრეთ სლოვაკიაზე გაავრცელებს. უნგრეთი თვითონ ითხოვს საფრანგეთის გავლენის გავრცელებას, გაზეთი სხვათა შორის აღნიშნავს, რომ უნგრეთმა თავის მხრით საფრანგეთსა და ინგლისს მოსკოვთან ბრძოლაში დახმარება უნდა აღმოუჩინოს.

„მატენის“ ცნობით უნგრეთის წინადადება მიღებულია და ხელმოწერილია პალეოლოგის და კალმანის მიერ.

**ბოლშევიკური ჯარების შემადგენლობა.**

ბერლინი, 10 ენკენის. „ფოსიშე ცაიტუნგი“ იუწყება: იმ ბოლშევიკურ ჯარების შორის, რომლებიც პრუსიის საზღვრებზე გადავიდა შენიშნულია საერთაშორისო პოლკი, რომლის ჯარის კაცები და ოფიცრები უმთავრესად გერმანელებიათ.

**ბალკანეთის ფედერაცია.**

ლონდონი, ენკენ. 6. „ობსერვერის“ ცნობით ტაკე-იონესკო ამ დღეებში ჩავა ათინაში საბერძნეთთან ბალკანეთის ფედერაციაში შესვლის შესახებ მოსალაპარაკებლად. ამ ფედერაციაში შედიან რუმინია, სამხრეთ სლავია და ჩეხო-სლოვაკია: ვენიზელოსს განზრახული აქვს ამ საქმეზე ბუქარესტში წავიდეს.

**ახალი ბუფერი სახელმწიფო.**

პარიზი, ენკენ. 9. „ტანის“ ცნობით ციმბირში მდგარ იაპონიის ჯარების სარდალმა შემდეგი განაცხადა: ჩემის დაკვირვებით საბჭოთა წყობილება ვერ იქნება ხანგრძლივი, ვინაიდან ხალხი მას არ თანაუგრძნობს და პირველ შემთხვევისათანავე ზურგს შეაბრუნებს. რუსეთ არაა მოკავშირეები გამოიმუშავებენ საერთო ხაზს ბოლშევიკებზე თავდასასხმელად. იაპონიას ბოლშევიკებთან თანამშრომლობის წინააღმდეგ არაფერი ექნება თუ ბოლშევიკები შინაურ წყობილებას შესცვლიან. მისი აზრით საჭიროა შეიქმნეს აღმოსავლეთ ციმბირში ბუფერი სახელმწიფო რომლის მთავარი ქალაქიც ვლადივოსტოკი იქნება. ეს სახელმწიფო უნდა იქნეს დემოკრატიული, მას იაპონია ფინანსიურ ეკონომიურ დახმარებას აღმოუჩენს.

## გრაფი სფორცა საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ

**ე. გეგეჭკორის აუდიენცია**

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ევ. პეტრ. გეგეჭკორი იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრ სფორცასთან საუბრის დროს შეეხო ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების სახელმწიფო მდივნის კოლბის უკვე ცნობილ ნოტას რუსეთის საკითხის შესახებ, რომელიც აღნიშნული იყო, რომ ამერიკის მთავრობა არ აღიარებს საქართველოს დამოუკიდებლობასო. გრ. სფორცამ ამის შესახებ შემდეგი განაცხადა: იტალიის მთავრობამ ამ მოკლე ხნის წინეთ თავის საპასუხო ნოტაში ამერიკის მთავრობას შენიშნა, რომ მას (ამერიკის მთავრობას) არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს საქართველოს დამოუკიდებლის არსებობას, რომ მან (სფორცამ) პირადათ იცის, რომ ქართველი ერი არ ეკუთვნის სლავიანურ რასას და აქვს თავისი საკუთარი ათასი წლის კულტურა, რომელიც თავდებია იმის, რომ მას შეუძლია თვითონ განაგოს თავის თავს და გადასწყვიტოს თავისი ბედ-იღბალი.

## გარეშე საქმეთა მინისტრის ე. პ. გეგეჭკორის განცხადება.

საქართველოს რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრმა ე. პ. გეგეჭკორმა რომის გაზეთი „ტრიბუნა“-ს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა: საქართველო, დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ დღიდანვე სცდილობდა მახლობელი და მეგობრული დამოკიდებულება დაეჭირა დასავლეთ ევროპის კულტურულ სახელმწიფოებთან. ამგვარ დამოკიდებულების განვითარებას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ საქართველოში იმყოფებიან ევროპის სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლები და პირიქით, ევროპაში არიან საქართველოს წარმომადგენლები, რომლებიც ყოველ გვარ ღონისძიებას ღებულობენ, რათა ევროპას გააცნონ საქართველო და დაამყარონ მასთან მჭიდრო კავშირი. საქართველოს განვითარება ეკონომიურ კულტურულ და ფინანსიურ ფარგლებში აყენებს მთელ რიგს ისეთ საკითხებისას, რომლებიც დაუყონებლივ გადაწყვეტას მოითხოვენ. ამ საკითხების შესახებ საქართველოს დედა ქალაქიდან ევროპის სატახტო ქალაქებში მიწერ-მოწერას დიდი დრო უნდება და ამიტომ რესპუბლიკის მთავრობამ საჭიროთ სცნო პირდაპირი მოლაპარაკება გამართოს ევროპის პოლიტიკის ხელმძღვანელებთან იტალიის შესახებ ევ. გეგეჭკორმა სთქვა: მე ბედნიერი ვარ განვუცხადო იტა[illegible]

## პოეტები და ირედენტი.

ბათომის გაზეთ „მთლიან საქართველოში“ დაიბეჭდა ტ. ტაბიძის წერილი: „ირედენტისთვის“. ეს ერთგვარი მანიფესტი გახლდათ აღფრთოვანებული პატრიოტისა, რამაც თავდასხმა გამოიწვია პრესაში, ხოლო ბათომის მესაჭე ბენია ჩხიკვიშვილმა ინკვიზიტორის როლი იკისრა და ხსენებული გაზეთი ამ მანიფესტის გამო დასწვა,—დახურა. მერე რა იყო უჩვეულო ამ მანიფესტში? არაფერი, გარდა ერთი პატრიოტული აღმაფრენისა, რომელიც თავს დასტრიალებს სამშობლოს მთლიანობას, მის ფარგლებში ისეთ კუთხეების შემოსვლას, რომელნიც ისტორიულად გვეკუთვნოდნენ და თუ დღეს არ გვეკუთვნიან, მხოლოდ თვალბედითი ფორტუნას წყალობით. ყური ათხოვეთ თვითონ ავტორს მანიფესტისას:

„...ბათომის დაბრუნების შემდეგ შეწყდა პატრიოტული აღტაცება.

მხოლოდ ჩვენთვის, პოეტებისთვის, დიდი ხანია დაწყებულია სხვა ირრედენტი:

ბიზანტიელი მექრონიკენი აღნიშნავენ, რომ საშუალო საუკუნის პოეტებს ხშირათ უყვარდათ განმეორება ხმოვანი სიტყვის: „ტრაპიზონი“.

ეს სიტყვა დღეს უნდა გაისმას ქართულ პოეზიაში და უნდა ადგეს უფრო მეტი ბრწყინვალებით.

რესპუბლიკანური ჯარი ვერ გაჩერდება იმ საზღვარზე, რომლის იქითაც იქნება ლაზისტანი და ტრაპიზონი.

ტრაპიზონი პირდაპირი გზაა საქართველოსი აზიის სიღრმეში და ამ გზას დაიპყრობს ქართული ჯარი...

ტრაპიზონში აშენდება უზარმაზარი ვერფები და ის იქნება ახალი სიდონი.

ქართულ ჯარს ახალი ომის საგანი აქვს.

ქართველ პოეტებს ახალი ომის და სიმღერისა.

— სამუდამო ირრედენტი!

— ლაზისტანი და ტრაპიზონი“.

ამ მოკლე ამონაწერიდან სჩანს, რომ პოეტს უკვე აღარ აკმაყოფილებს ის ბრწყინვალე დღე, რომელიც ფებ აპოლონმა მზიური ეტლით მოგვიტანა შვიდ მკათათვეში:

ბათომის დაბრუნება!

მისი ამღერებული მანიფესტის ობიექტი ეხლა შორსაა,—ტრაპიზონი, ახალი სიდონი და ტვიროსი, რომელთა უბეში კუპრათ და მაზუთათ უნდა იქცეს ქართველის გონება დიად ვერფების ასაგებად და ხომალდთა აფრის ასაშვებად. ეს სიზმარეული ჩვენება პოეტისა ჰსურს რომ მთელი საქართველოს კოლექტიურ ზმანებათ გარდაიქმნეს და ახალს სიდონს ისე ვეტრფოდეთ, როგორც ტყვეობიდან გამოხსნილს ბათომს, რომლისთვისაც შინ თუ გარედ, ტირილსა და სიხარულში, მიტინგებზე და ნადიმებზე ყოველ აზარფეშის აწევის დროს ცეცხლს ასხმულს სიტყვებს ვაფრქვევდით გულიდან, ეს იმ გულიდან, რომელიც ნამდვილ თოფხანად იქცა და აფეთქებას უმზადებდა თვით გამარჯვებით დამთვრალ ალბიონსაც კი, თუ ბათომის ბჭიდან ნაძალადევად ჩამოკიდულ ფარს არ ჩამოჰხსნიდა: „ლაზისტანი.. ტრაპიზონი“... აი რა გახდება ახლა დევიზათ ქართული პოეზიისა „უფრო მეტის ბრწყინვალებით“, ვიდრე ეს იყო ბათომისთვის. პოეტები პირველი უნდა ახმაურდნენ ვიდრე ორბის სიჭაბუკით დამთვრალი ჩვენი რაინდები, ეს იმიტომ, რომ პოეზიის დე და უფრო მგრძნობიერია, ვიდრე დარახტული მარეხის შეჭმუხვნილი გრძნობა-გონება. ასე ყოფილა წინად, ასეა დღესაც. მათ მიერ დამღერებული ჰანგები უფრო სასტიკი და მომაკვდინებელი ყოფილა, ვიდრე განრისხებულ აქილესის შუბი და რახტი. რომელი ატილლა იქნებოდა ისეთი შემზარავი, როგორც იყო რუჟედე-ლილის „მარსელიეზა?“ გახედეთ საუკუნეთა ლანშაფტებს, ღმერთების ნაირ-ნაირ პანორამებს, უკვდავ გმირების ულეველ ლაშქარს, ვინ დაათრგუნვინა მათ მარადისობა, თუ არა პოეტებმა, ვინც ხშირად არა თუ სარდლობდნენ თავიანთ ხალხს და ომის გენიის ქარიშხალით შიშის ზარს სცემდნენ მოსეულ მტრებს, არამედ თვით ღმერთებსაც კი ასწავლიდნენ ადამიანთა ვნებით სუნთქვას და დიად ბრძოლას! ინდოეთი თავის მისტიურ ჰიმნებით უფრო პოეტებითაა განდიდებული, ვიდრე მეფეთა მახვილით. ეგვიპტელთა ფანტაზიაც კი, რომელიც რელიგიურ იდეათა გამოხატულებაში გაქვავდა და საღმრთო იეროგლიფებათ ამოიკვეთა, არა ძუნწობდა პოეტ ბატალისტ პენტაურის ფანდურზე ემღერნა რამზესის გმირობაზე, ვინც ომის დროს თვით ამონის ამოღებულ მახვილად იქცა და გაქანებულ ეტლით ქვეშ მოსრისა ხეთების ლაშქარი, ხელის გაქნევით მოსპო მთელი მათი სამფლობელო, უწია ორთაშუა მდინარეს და არც შეჩერებულა, ვიდრე თვის მერნებს ტიგროსის ზვირთებით ოფლი არ შეუშრალა.

არაბეთიც კი, ეს ფვალდიათ მეოცნებე და ვარსკვლავებთან მოუბარი, რომლის სიმღერაც მიჯნურობის დამწვარ ჰანგს აფრქვევდა და კაეშნის ძაფით ჰქარგავდა გულის რვეულს, შექმნა დიდ ყურანს, სახელოვან წინასწარმეტყველის აღტაცებათა და ჩვენებათ ძლიერს ჭურჭელს, რომელმაც არა თუ გაშლილ დროშებით შეიყვანა მორწმუნენი კეკლუც გურიების კისკისით აღყვავებულს სამოთხეში, არამედ ყველანი რაინდებათ აქცია, შეასხა ხმალი და მთელი ქრისტიანული ევროპა იმდენ ხანს ჰქელა ცხენთა ფეხქვეშ, ვიდრე არ დააშრო ფანატიზმისა და დაპყრობის ქინიანი წყურვილი, რომ შემდეგ ცივილიზაციისა და განათლების ტრიუმფი ერთის ამბით ედღესასწაულნა!

უწყინარ ჩინელ ქალსაც კონფუციძემ ჯერი კიდევ 483 წ. ქრ. დაბადებამდე დაამღერებინა საიდეალო მიჯნურზედა:

„ჩემი რაინდი ახოვანია,
ბრძოლაში ყველას თავზარს ცემს
მედგრად,
შუბით ვეფხვავით სულ წინ-წინ
მიჰქრის
[illegible]“

[illegible]

ლიურ გაზეთის თანამშრომელს, რომ ქართველი ხალხი აღსავსეა იტალიისადმი ღრმა სიყვარულის გრძნობებით. კარგათ ვიცნობ იტალიას, დიდი ხანია მიყვარს ის და მისი შვილები მით. იტალია პირველი იყო, სხვა სახელმწიფოთა შორის რომელმაც საქართველოსთან დაიკავა კავშირი და მხარი დაუჭირა მის დამოუკიდებლობისადმი მისწრაფებას. იტალიაში მე ის მიზანი მაქვს, რაც სხვაგან — ვფიქრობ საქართველოსადმი მეგობრულად განწყობილი სახელმწიფოები დავითანხმო ამ მიზნის შესრულებაში. ლაპარაკიც ზედმეტია იმაზე, რომ იტალია მეგობრულადაა განწყობილი საქართველოსადმი, რაც სხვათა შორის ამერიკის ნოტაზე რუსეთის საკითხის შესახებ გაცემულმა პასუხმაც დაამოწმა. ამ ნოტის შესახებ მე გარკვეულად შემიძლიან ვსთქვა: ყოველ ქართველს, განურჩევლად პოლიტიკური მიმართულებისა და საზოგადოებრივ მდგომარეობისა, ძლიერ დაამწუხარებს ის გარემოება, რომ შეერთებული შტატები, რომლებიც ამას წინად ერთა თვითგამორკვევის მხურვალე დამცველად გამოდიოდა, ახლა ერთი კალმის მოსმით ქართველი ხალხის უდავო ისტორიულ და ეროვნულ უფლებას თვითგამორკვევის უარჰყოფს. მოვალედ ვრაცხ თავს განვაცხადო, ჩემი ღრმა პროტესტი ამერიკის ნოტაში გამოთქმულ საქართველოს დამოუკიდებლობის სამტრო აზრების წინაამდეგ. ამასთანავე უნდა განვაცხადო, თუ საქართველო იმდროს, როდესაც აღმოსავლეთში ანარქია ბობოქრობს, ისე სდგას, როგორც კალი-კლდეს და მედგრად იცავს თავის თავისუფლებას ყოველგვარ საფრთხისაგან, ამაში ის თავის თავს, თავის დემოკრატიის შემოქმედებით ძალებს უნდა უმადლოდეს. კოლბს შეუძლიან არ დაგვიჯეროს, მაგრამ უნდა დაუჯეროს შეერთებული შტატების წარმომადგენლებს საქართველოში, რომელმაც ამის წინად დაასრულა იქ მუშაობა. გარკვევით უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენი რესპუბლიკა მეამბოხე რესპუბლიკა არაა, როგორც ეს ნოტაშია აღნიშნული. არა, საქართველოს დამოუკიდებლობა იურიდიული და უდავო ფაქტია. თუ ზოგიერთი სახელმწიფო დღეს ამას ანგარიშს არ უწევს, ამა თუ იმ მოსაზრებით, ხვალ გაუწევს, ვინაიდან ასეთია პატარა, მაგრამ სულით ძლიერი ხალხის ნება. ამერიკის ნოტა აღიარებს ირლანდიის, პოლონეთის და სომხეთის ლტოლვას დამოუკიდებლობისაკენ, იმიტომ რომ ეს მხარეები ძალით იყო რუსეთთან შეერთებული. მაგრამ ამავე უფლებას არ მოგვანიჭებს ჩვენ იმ მოსაზრებით, რომ საქართველო 120 წლის წინად ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთსა.

(შემდეგი იქნება).

## საზეიმო საღამო ხელმწიფო თეატრში.

ევროპის სოც. დელეგაციის პატივსაცემად გამართულ საღამომ სახაზინო თეატრში ხუთშაბათს, ენკენისთვის 16 დიდებულად ჩაიარა.

საღამო გახსნა ბელგიის ეროვნული ჰიმნით რომელიც შეასრულა სახელმწიფო თეატრის გაძლიერებულმა ორკესტრმა ზ. ფალიაშვილის ლოტბარობით.

პირველი სალამი სტუმრებს ახდილ სცენიდან უძღვნა ხელოვნების ცენტრმა, რომელიც მთელი შემადგენლობით ჩამწკრივებული იყო სცენაზე. ცენტრის სახელით სიტყვით მიმართა სტუმრებს კ. მაყაშვილმა, ხოლო მწერალთა კავშირის მხრივ გრ. რობაქიძემ, რომლის სიტყვამაც ძლიერი შთაბეჭდილება დასტოვა ყველა იქ დამსწრეზე თავისი მშვენიერი გარდმოცემით. ორატორმა აღნიშნა სულიერი დანათესავება საქართველოსი ევროპასთან. საქართველო ყოველთვის დასავლეთისაკენ იწრაფოდა, ვინაიდან ქართველი ხალხი მცირე აზიის მოწინავე ერს წარმოადგენდა. ქართველი ხალხი ყოველთვის ილტვოდა ინტერნაციონალურ გაერთიანებისაკენ და მისი საუკეთესო შვილები მონაწილეობდნენ თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ორატორი მხურვალე ტაშით დაჯილდოვეს. (სიტყვას ცალკე დავბეჭდავთ). მისალმების შემდეგ სცენაზე გაიმართა ეროვნული ცეკვა, ძლიერი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენებურმა ცეკვამ, რომელიც შეასრულეს ქ-ნ ბაუერ-ზაქსმა და ბ. ალექსიძემ. სამწუხაროა, რომ მშვენიერი მოცეკვავე ალექსიძისათვის იმერელ მეპურის ჩოხა ჩაეცმით.. დიდი იუმორით შესრულებულ იქმნა ბოლშევიკური ,,ტროპაკ". მეორე აქტში დადგმული იყო აპოთეოზი, სცენის ცისკიდურზე მოსჩანდა საქართველოს სახელმწიფო ღერბი, რომლის ქვეშ პირველ საფეხურზე ამართულ პიედესტალზე ქართული ქალი ცალხელში ეროვნული და მეორე ხელში წითელი დროშით, მის ქვეშ დაბლა დანარჩენ საფეხურზე იდგნენ ყველა ეროვნების წარმომადგენელნი თავ თავიანთ დროშებით. სურათს ჩვენებისას მქუხარე ტაში მოჰყვა.

მესამე აქტში წარმოდგენილ იქნა ,,აბესალომ და ეთერის" მეორე აქტი გაძლიერებულ გუნდით ავტორის ლოტბარობით. ოპერამაც როგორც სხვა ნომრებმა დიდათ დააინტერესა უცხოელი სტუმრები და მონაწილენი ტაშით იქნენ დაჯილდოვებულნი. ნასიამოვნებმა საზოგადოებამ ღამის 12 საათზე დასტოვა თეატრის დარბაზი და მიაშურა ქუჩას საცა ამ დროისთვის თავი მოეყარა აუარებელ ხალხს. აუარებელ ხალხის ენტუზიაზმს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც თეატრიდან გამოსვლისას გამოჩნდნენ ბ. ვანდერველდე და ჟორდანია. მქუხარე ტაშით და ,,ვაშას" ძახილით გააცილეს ისინი.

## ვანდერველდეს სიტყვა.

მუშათა დეპუტ. საბჭოს საზეიმო სხდომაზე სახალხო სახლში.

(დასასრული)

იმ გაჭირვებათა შორის, რომელსაც განიცდის საქართველო უნდა აღინიშნოს უპირველესად ქვეყნის მისი ფინანსიურ-ეკონომიური ხასიათის გაჭირვება რომელიც ცარიზმის მემკვიდრეობას წარმოადგენს. ამ დაბრკოლების დასაძლევად საჭიროა სახელმწიფოს საწარმოო ძალების განვითარება და კერძოთ საქართველოს მადნების დამუშავების გაძლიერება უცხოეთის ტეხნიკით და კაპიტალის დახმარებით. საქართველომ უნდა მოიპოვოს შეთანხმების დიდ სახელმწიფოებისაგან ერთა ლიგაში შესვლის უფლება. ჩვენმა დელეგაციამ, ევროპაში დაბრუნებისთანავე უპირველეს ყოვლისა ამ საკითხს მიაქცევს ყურადღებას. საქართველო დემოკრატიულ ქვეყანაა და ამასთანავე აქ კაპიტალიზმი სათანადოთ არაა განვითარებული. ამან შეიძლება გამოიწვიოს უცხოეთის კაპიტალის გავლენა ადგილობრივ აშენებლობაზე. მე ამის შესახებ ველაპარაკე ნოე ჟორდანიას, რომელმაც მიპასუხა: მართალია ჩვენ ვიხმობთ უცხოელ კაპიტალისტებს მაგრამ მთავრობა ზრუნავს შეიძინოს აქციათა მეტი ნაწილი რათა საქმეც მის გავლენის ქვეშ იყვეს. ეს აზრი სწორია. ასეთი გზით კაპიტალი შეიძლება მოიზიდონ და არა მასში გაითქვიფო. ახლა მე შევეხები საფრთხეს, რომელიც საქართველოს საზღვრებს ემუქრება. საქართველოს საზღვრებს ორი დიდი დანგრეული—ბოლშევიკური რუსეთი და ნაციონალისტური ოსმალეთი. საქართველო აზიის შვეიცარიაა და როგორც შვეიცარიაში ისე საქართველოში დევნილნი პოვებენ თავშესაფარს. ქართველ ხალხ მოკავშირეებიც ყავს. ხალხში იმდენათ გამჯდარია თავისუფლებისადმი სიყვარული, რომ ის ყოველგვარ ტირანიას ლენინის იქნება ის თუ ნიკოლოზ მეორის მედგრად შეებრძოლება. მხოლოთ სიყვარულისათვის პრომეთემ ზეცას ცეცხლი გამოსტაცა. განრისხებულმა ზევსმა ის კავკასიის ქედზე მიაჯაჭვა, და ყვავ-ყორანი კორტნიდა მას, ამგვარადვე ცარიზმა საქართველოს მთაზე მიაჯაჭვა საქართველო. მაგრამ ქართველმა პრომეთემ გაინთავისუფლა თავი და მას აღმოუბრწყინდა წითელი რიჟრაჟი სოციალისტური რევოლუციისა, რომელსაც საქართველო ბედნიერებისაკენ და თავისუფლებისაკენ მიჰყავს.

ვანდერველდის სიტყვის შემდეგ თავმჯდომარემ სიტყვა მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელს ჰიპარიშვილს მისცა. უკანასკნელმა ვრცლად გააცნო დელეგაციის წევრებს ისტორია მუშათა დეპუტატების საბჭოს წარმოშობისა, რომელმაც რევოლუციის დღიდან დღევანდლამდე შეინარჩუნა პოლიტიკური ძალა უფლება, შემდეგ გამოდის სახალხო გვარდიის უფროსი ვ. ჯუღელი, რომელიც აღნიშნავს შეარაღებულ დემოკრატიის როლს, და მის დამსახურებას ხალხის ფიზიკურად გადარჩენაში, ორატორი თავის სიტყვას ახურვილი მოწოდებით ასრულებს: ჩვენ უნდა გავხადოთ არა მარტო აზის შვეიცარია, როგორც ეს ვანდერველდემ სთქვა, არამედ სოციალისტურ შვეიცარიაც, გრიგოლ დგებუაძემ მუშათა დეპუტატების საბჭოს სახელით მოახსენა კრებას საქართველოს ბრძოლის შესახებ მოხალისეთა ჯარის და ბოლშევიკების წინააღმდეგ. საქართველოს დამოუკიდებელ სოც. დემ. პარტიის სახელით გამოვიდა კოლაჯევი, რომელმაც აღნიშნა, რომ ამიერ-კავკასია იმპერიალისტებისათვის გემრიელ ლუკმას წარმოადგენს შემდეგ ორატორი მიესალმა ინტერნაციონალის დელეგაციას, რომელსაც თავისი ძლიერი სიძლიერით შეუძლია გავლენა მოახდინოს მტაცებლების შემოსევაზე. ,,დაშნაკციუტიუნის" ფრაქციის სახელით დელეგაციას ნაჩალაჯიანი მიესალმა, გუნდის სახელით ანონი. სოც. რევ. სახელით გამოვიდა თარხანოვი და უკანასკნელმა ორატორმა, სოც. ფედ. წარმომადგენელმა შ. ნუცუბიძემ კატეგორიულად განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენსა და სოციალ-დემოკრატების შორის არსებობს სხვა-და სხვაობა თეორეტიულ საკითხებში, ჩვენ სოციალ-ფედერალისტებს არ წარმოგვიდგენია შესაძლებლობა გადატრიალებისა საქართველოში, სადაც ხალხი სრულ თავისუფლებით სარგებლობს. სიტყვების დასრულების შემდეგ თავმჯდომარე კითხულობს რეზოლიუციის პროექტს, რომელსაც სხდომა ერთხმად იღებს. სხდომის წევრები სდგებიან და შეუწყვეტელ ტაშის ცემით აცილებენ მიმავალ სტუმრებს. სახალხო სახლის დარბაზს ინტერნაციონალის საზეიმო ხმები ფარავს.

## მუშათა დეპუტატების საბჭოს საზეიმო სხდომა.

ენკენ. 15. საღამოს 7 საათზე სახალხო სახლის შენობის წინ თბილისის პროლეტარიატი შეიკრიბა. მუშათა სახლში მხოლოდ მანდატებით უშვებდნენ. დარბაზი სავსეა ხალხით. დამსწრენი ინტერნაციონალს მღერიან, ესტრადა საუცხოოდ არის მორთული მცენარეებითა და ყვავილებით და აგრეთვე მარქსის, პლეხანოვის, კაუცკის, ვანდერველდეს, ჟორესის, ჟორდანიასა და წერეთლის სურათებით. დამფ. კრების პრეზიდიუმი და მთავრობის წევრებს ადგილი ესტრადაზე უჭირავთ. სრულ 6 საათზე შუა დარბაზში ესტრადისკენ ვაემართნენ ვანდერველდე, რენოდელი, დებრიუკერი, ინგელსი, მარკე, გუისმანსი მეუღლეთი და ქალიშვილი, ქ-ნი სნოუდენი, მაკდონალდი და შოუ. დელეგაციის წევრები ესტრადაზე მაგიდის გარშემო სხდებიან, შუაში ზის ნ. ჟორდანია. 7 საათის დასაწყისს მუშ. დეპუტატების თავმჯდომარე ნ. ჟორდანია ხსნის სხდომას შემდეგის სიტყვით:

**ნ. ჟორდანიას სიტყვა.** მუშათა დეპუტატთა საბჭოს გაერთიანებულ სხდომას, რომელშიაც მონაწილეობენ საქართველოს საფაბრიკო კომიტეტთა და პროფ. კავშ. წარმომადგენლები, გახსნილად ვაცხადებ. თბილისის მუშათა მოძრაობის ისტორიაში დღევანდელი დღე ღირს შესანიშნავი დღეთ დარჩება. თბილისის პროლეტარიატი პირველად ჰხვდება პირისპირ დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის წარმომადგენელთ. დღეს მუშებმა ქუჩებში მოისმინეს უშუამავლოდ ამ მუშათა ბელადების აზრები, ფიქრები და სიტყვები. ჩვენ მუშათა წარმომადგენლები შევიკრიბეთ, რათა ქუჩაში ნამოქმედარი და ნათქვამი აქ უფრო დალაგებულად, გამოვხატოთ. მე გთხოვთ მივესალმოთ ჩვენს სტუმრებს (ახმაურებული ტაშის ცემა). (მისასალმებელი სიტყვები გაისმის) დღევანდელი მანიფესტაცია ერთხელ კიდევ გვიჩვენებს მასსათა ერთსულოვნებას. ჩვენი მუშათა კლასი დღეს იმ გზას ადგია, რა გზასაც გუშინ ადგა. ბევრი ჩვენს ერთსულოვნებას ჩვენს ჩამორჩენილობით ხსნის მაგრამ დასავლეთ ქვეყნების მუშათა მოძრაობის წარმომადგენლებიც ადასტურებენ, რომ ევროპის მუშათა კლასშიც ასეთი ერთსულოვნებაა. ბელგიის მუშათა მოძრაობამ არ იცის რაა უთანხმოება და ის მუშაობდა ერთი პარტიის დროშის ქვეშ. მას აქვს ერთი ტაქტიკა და ერთი სოციალისტური დოქტრინა. ჩვენ ვხედავთ აქ ამ დარბაზში ამ დოქტრინის და ტაქტიკის შემქნელთ ვანდერველდეს, დებრიუკერს და ჰიუსმანსის (ახმაურებული ტაშის ცემა) თქვენ იცნობთ ვანდერველდეს. თქვენ ყველანი მისგან სწავლობთ, ის მუშათა მოძრაობის საუკეთესო ტაქტიკის მქონეა. ამხანაგი დე-ბრაუკერი პარტიულ ორგანოს რედაქტორი და სულის ჩამდგმელია. ის ბელგიის არისტიდეა. მისი სიტყვა მის მოყვრებსა და მის მტრებსა სწამთ. ამხ. ჰიუსმანსი საუკეთესო ორგანიზატორია არა მარტო ბელგიის მუშათა კლასის, არამედ ინტერნაციონალისაც, რომლის მდივნად ის 15 წლის განმავლობაში იყო. მე აღვნიშნე ზემოდ, რომ ბელგიაში დაცულია მუშათა კლასის მთლიანობა, მაგრამ იტყვიან ბელგია პატარა სახელმწიფოაო. ამ ჟამად ჩვენთანაა ინგლისის ხალხისა და მუშათა პარტიის წარმომადგენლები. შოუ, მაკდონალდი და სნოუდენი (ახმაურებული ტაშის ცემა) [illegible] კარლ მარქსის სიტყვებით [illegible] განვითარებულ ინდუსტრიალურმა სახელმწიფომ უნდა შექმნას ძლიერი მუშათა პარტია, რომელიც დაუდებს საფუძველს სოციალიზმს, ეს სახელმწიფო ინგლისი. ბევრს არ სჯეროდა.

ამბობდნენ ინგლისის მუშებისათვის მიუღებელია სოციალიზმი, ისინი მხოლოდ ტრედ უნიონისტები არიანო. ინგლისის მუშათა პარტია ძლიერ ძალას წარმოადგენს არა მარტო ინგლისისთვის, არამედ ევროპისათვისაც, ამაში მუშათა პარტია მაკდონალს უნდა უმადლოდეს ამ დიდ ძალას, ამ პარტიას ჰყავს თავისი ხელმძღვანელი და ბელადი შოუ, რომელიც კარგად იცნობს გარდა ინგლისის მუშათა მოძრ., ერთად ევროპის მუშათა მოძრაობასაც. ამხანაგი შოუ რუსეთში მყოფ დელეგაციის წევრადაც იყო და ის უარყოფითი შეხედულებით დაბრუნდა იქიდან. აქ ჩვენს სტუმართა შორის არის ინგლისის მუშათა პარტიის უკიდურესი მემარცხენე ფრთის წევრი ამხ. სნოუდენი, რომელიც სამაგალითო ორგანიზატორია. ის მუშაობდა ინგლისის მუშა ქალებში და მოაწყო ინგლისსა და ამერიკაში მუშა ქალთა 2000 მიტინგი. რაც ინგლისელ ქალის ენერგიის მაჩვენებელია, სნოუდენი რუსეთში წავიდა იმ მიზნით, რათა თავის ქვეყნის მუშებისათვის ეცნობ[ებინა] ის რაც გარკვ[ევით] ნახავდა საბჭოთა რუსეთში. მაგრამ ისიც როგორც შოუ უარყოფითი შეხედულებით დაბრუნდა. აქ არიან ინგლისის საუკეთესო ადამიანები, რომლებიც ინგლისის მუშათა მოძრაობის სიძლიერის, ერთიანობის და ფიქრებს გამომხატველნი არიან. საფრანგეთში ჩვენ ვხედავთ ამ საერთო იდეის უარყოფას. მათი წარმომადგენლები რენოდელი, მემკვიდრეა ცნობილ ტრიბუნის ჟორესისა. ამხ. რენოდელი დღეს უმცირესობას პარტიაში მაგრამ მწამს რომ ეს უმცირესობა უ- [illegible] ამხ. რენოდელმა პარტიას ასე დაუყენა საკითხი: ჩვენ ან ჟორესის და ან ლენინის აზრები უნდა მივიღოთ.

(შემდეგი იქნება).

## სახალხო სახლში

(სოც. დელეგ. შეხვედრა).

სახალხო სახლს არ უნახავს ისეთი აღფრთოვანება, რომელიც მან იგემა თხუთმეტ სექტემბერს. იგი პირველად შეხვდა რჩეულ სოციალისტებს დასავლეთი ევროპისას.

ზალა აივსო სოციალისტურ მოაზროვნე ტფილისის მასსით და ძვირფასად მორთული სცენა სოციალ-დემოკრატიის ქართველი ბელადებით. სცენის სი-

---

ლით შხამი აწოვეს ნორჩ თაობას, ჟამსა ,,მდინარეთა ზედა ბაბილონისათა" ტყვეობისასა. ,,ვითარმე ვჰგალობდეთ გალობასა უფლისა ქვეყანასა უცხოსა? უკეთუ დაგივიწყო შენ, იერუსალიმ, დაივიწყენ მარჯვენეცა ჩემი... ასულო ბაბილოვნისაო, უბადრუკო, ნეტარ არს რომელმან მიგაგოს შენ მისაგებელი შენი, რომელი მომაგე ჩვენ... ნეტარ არს, რომელმან შეიპყრნეს ჩჩვილნი შენნი და შეახეთქნეს კლდესა". (ფსალმუნი, 136). სთქვით, სად თქმულა ასეთი ბარბაროსული, მაგრამ მაინც სამართლიანი მოწოდება ,,იერუსალიმ ირრედენტის" გამო?

თვით ელლადაც კი, ეს ზღაპრული ქვეყანა, სადაც ახოვნება, სიკისკასე, სილამაზე და ზომიერება მარადიული თანამგზავრი იყო ყველას ცხოვრებისა და შექმნა ძლიერი კუნთებიანი სხეული გამჭვირვალე სამოსლით, რომელსაც ჰშვენის დიადი სული, ვით მობანავე ვენერას მჩქეფარე ზვირთთა სამოსელი, განდიდებულ იქმნა იმდენად მილტიად თემისტოკლე-ლეონიდეთა მახვილით არა რამეუნადაც ოლიმპის ღმერთების ძირს ჩამომყვან ბრმა ჰომეროსის მიერ, საღმთო ილიონი მზიური ცეცხლით რომ გადასწვა და უბადლო პინდაროსი და შემდეგ ტირცე პოეტ ბატალისტის მიერ, რომლის ბუკის ხმა დღესაც ფრთას ასხავს ვენიზელოსს და მის ლაშქარსა:

თქვენ ხართ უვნებელ დიდ ჰერკულესის შთამომავალნი, გესმით, თქვენ, გმირნო! ძევსე კვლავ გწყალობთ, მის სამღრთო კალთა გადმოფენილა თქვენს დასაფარად. წარბ შეჭმუხვნილმა დიდმა მარეხმა დაჰღვარა თქვენთვის მხურვალე ცრემლი, და წინასწარვე გაგინაწილათ დიად გმირების დიდი სახელი. ისწავლეთ; გმირნო, სიკვდილის ფასი, ისწავლეთ ძვირფას მამულის დაცვა! ვიშ, რა კარგია მისთვის ველს გასვლა! ვიშ, რა კარგია მისთვის სიკვდილი!".

მაგრამ აი, მოდის რომი და მის მეუფებას მთელი რიგი პოეტებისა აღმოუჩნდებიან. ვის არ ახსოვს ვირგილიუსის მოწოდება ენეიდაში:

მოვლენ აქ სხვები და ბრინჯაოდან იწყებენ ცოცხალ სახეთა კვეთას, ასწერენ მნათთა დიადსა სვლასა, განსჯიან ყოფილ ხალხთა ცხოვრებას, მაგრამ შენ, შვილო ამაყ რომისავ, შენ გიწერია დღეს მეუფება: შენ უნდა ჰმართო ქვეყნიერება, შენ უნდა მფლობდე სიკვდილ-სიცოცხლეს! ზავს არჩეული ურჩებს იპყრობდე, მორჩილს ხელ გაშლით იპატიებდე, ხოლო ქედმაღალს სიტყვას შემბრუნებს ძირზე განრთხმულს უწყალოდ ჰსრესდე!". (ენეიდა მე-6ე).

და ეს ხომ მილიტარისტთა ის სუჯე გახლდავ რომლიდანაც უშრეტელი წყარო ჰპოვა არა მარტო კალმის ნაპოლეონმა ლორდ ბაირონმა არამედ თვით შექსპირმაც კი, რომელმაც ჩვეად აღბიონს მსოფლიო ბატონობა უწინასწარმეტყველა რიჩარდ მეორეს ამაყი სიტყვით:

„ეს ქვეყანა ბრწყინვალე პირთა, ბრწყინვალე, მასთან ფასდაუდები, ძვირფასი სახელგანთქმულ გმირებით, სახელი მისი ინგლისი არის ჩვეული სხვათა ბატონობასა!"

საშუალო ხანეში ხომ ტრუვერები და ტრუბადურები იყვნენ პირველნი, ვინც, გულის სტრუნს—ჭვრეტით რელიგის მისტიურ კვერთხზე დაყრდნობილი აზროვნება გარდატეხეს და რონსივალის ველზე ერთის მხრით თუ როლანს იერიქონის საყვირი დააჭექებინეს. მეორე მხრით მთელი ევროპა ჩაჩქან ჯავშანში ჩაჭედეს და ჯვაროსანთა ომის ქარცეცხლში გაატარეს უბადლო ირრედენტის—იერუსალიმის დასახსნელად.

ან რომელი დანტონი, სენ ჟუსტი ლაფაიეტ რობესპიერი თუ ბონაპარტე შეედრება უკვე ხსენებულ რუჟედი—ლილს, რომელმაც ერთი „მარსელიოზით" ფრანგ პატრიოტებათ გაჰხადა ყველანაირი, ვინც ჩვენებურად, უკრიტიკოთ და შეუმცნევლად მას მოიმღერენ დაფისცემით! რა კოჭლი და ულაზათო უნდა ყოფილიყო საფრანგეთის დიდი რევოლიუცია, თუ არ იქნებოდა ეს ყველა დროის რევოლიუციისთვის შესაფერი ჰანგთა ბიბლია, რომელსაც ჯერჯერობით „ახალი აღთქმა", არსიდ უჩანს სხვა რომ სანაცვალოთ! ან, ვინ იცის, რა კატასტროფით დამთავრებულიყო მსოფლიო ომი, თუ 1914წ. მარნის გმირებისთვის ამავე ჰანგს დღევანდელ დაბაბუნებულ ფრანგის ძარღვებში დიდი რევოლიუციის გმირთა ტრადიციული სისხლი არ აეჩქეფებინა და შუბლ შეშმუშნულ ფონ კლუკის მძინვარე არმია თავის ცეცხლითვე არ დაენთოს!

აბა ახლა თვალი გადავავლეთ აწ წელდაწყვეტილს და ათასოებით დამცირებულს გერმანიას, ვინ ჰყავდა მას მანუგეშებლათ, ვინ შექმნეს თუ არა პოეტებმა ,,შტურმ უნდ დრანგ"-ის სახელოვანი ეპოქისასაც შემდეგში ხორცშესხმულობის გვირგვინად თავს დაიდგა ,,გაერთიანებული ძლიერი გერმანია!"

აღარას ვიტყვით ოსმალთა უღელ ქვეშ მყვნესარე საბერძნეთზე, ბულგარეთზე, თუ სერბიაზე, ან და იტალიაზე, ვის დაკოდილ გულსაც პირველად აღმოხდა სასოწარკვეთილებითი კივილი: ,,იტალია ირრედენტა!" და მთელი რიგი პოეტ ბატალისტებისა წამოშალა მონობის უღლის დასამტვრევად. მაძინი, ვიტორის ალფიერი, ვინჩენცო და ფოლკადა, რომლის ჰიმნი: ,,იტალია! იტალია," ბაირონმა ზედმიწევნით სთარგმნა და თავის ქარიზმიულ ნაწარმოებთა შორის პირველობის დაფნით შემოსა, ანუ როსეტი გაბრიელი, ჯანოტო პიეტრო, პილიკო, სილიო, ერთი სიტყვით მთელი ლეგიონი პოეტებისა—აი ვინ მღეროდნენ „იტალია ირრედენტას" გაისმინეთ სასოწარკვეთილებაშიც კი, ლაღ არწივივით დიდებულად მსრბოლელი ჯაკომო ლეოპარდი, რომელსაც აზროვნების სიმაღლეში და კეთილშობილურ სისადავეში პინდაროსიც კი ვერ შეეწყვდება, როგორ ცრემლთა ემბაზში ამოავლებს მთელს იტალიას და დანტეს სულით განაახლებს სახელოვან ჰიმნებით: ,,იტალია!;"

„ოჰ იტალიავ, დედავ და... მონავ! რაიყავ წინად, ან რა ხარ ეხლა? მარჯვენა, რა იქნა შენი მახვილი? ძილის თილისმით ვინ მომიხიბლა. ვის მოუპარავს შენი გვირგვინი, სკიპტრა—პორფირი გაუტაცნია ნუთუ შვილებში არავინ შეგრჩა, შენთვის მამ წყლულზე არ უკვნესია? მახვილი, გმირნო! თუ არა, ერთი გავალ ბრძოლას, არა მსურს შველა! ოჰ, ღმერთო! ჰქენ რომ ეს ჩემი სისხლი ცეცხლათ აენთოს, გადასწვას ყველა! იტირე დიდავ, იტირე მწარედ! მაგრამ, რა, ეჰა, რას გარგებს ცრემლი! რა ოკეანე გადმოინახევა, რომ განგიბანოს შუბლზე სირცხვილი"

მართლაც, იმდროინდელი იტალია საქართველოზე უარესსდღეში იმყოფებოდა, ის იმ საქართველოზე, ვის შესახებაც აკაკის აღმოჰხდა განაწამები საყვედური: ,,ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველო"! ეს დრო ის დროა, როდესაც პოეტი კარდუჩი გმირთა საფლავს აკაკისებური ბრაზმორეული ქვითინით დასძახოდა:

,,ყური მომაპყართ ოჰ, გმირთა ძვლებო. გაუწყებთ მეტად მწუხარე ამბავს: საზიზღარია სამშობლო თქვენი, მის სახის წუმპეს ვერამრა გაჰბანს".

ეს ის დროაა, როდესაც იგივე კარდუჩი პირში სტყორცნიდა ანათემას ყველას, ვინცკი შეჰრიგებოდა უღლის ზიდვას:

,,ეი, თქვენ შვილნო იტალიისავ, ვით გაპატიებთ ოცნების დაშლას! მძულხართ! გაფურთხებთ! საზიზღარნი ხართ! თქვენ კი მეძახით სიცილით" ვაშას! და ჩემს სიმღერას მოქურუშებულს სიკვდილისავით შავს და მძვინვარეს, არა სადილებით, არა მსხვრევთ ჭიქებს, ძილი გერევათ დაღლილს და მთვრალებს!"

მაგრამ აი, მოხდა სასწაული, პოეტ ბატალისტთა და დაფდაფის ხმამ სწრაფად წამოშალა ,,ცეცხლ მოდებული" ლაშქარი და მხიარულმა ყიჟინამ მთე- [illegible]

მერე რა? განა აქ შეჩერდა იტალთა ოცნება? ვინ თუ არა ისევე მგოსნებმა, ,,ფუტურისტები" რომ უწოდეს თავიანთ თავსა, აღმოაჩინეს ახალი ,,იტალია ირიდენტა"... მარინეტის მანიფესტი პირდაპირი იმპერიალისტური სულისკვეთება იყო" დიდი იტალიის შესაქმნელად: ,,სიტყვა იტალია უნდა აღემატებოდეს თვით უმაღლეს ცნებას—თავისუფლებას! ჩვენ უნდა ვიამაყოთ მით, რომ იტალიელები ვართ, ომისთვის დაბადებულნი, სამშობლოს განდიდებისთვის... ტრიესტო, შენზეა ჩვენი იმედები: შენ ჩვენი ასაფეთქებელი თოფხანა ხარ, თანამედროვე იტალიის ზეიდეია!...

და მარინეტს ამოუდგა მთელი პლეადა ფუტურისტებისა, რომელთაც დამბაჩა დაუმიზნეს ერთის მხით ავსტრიას, მეორე მხრით აფრიკის ახალშენებს. პაოლო ბუცი, ეს რკინისტრიბუნი, რომლის ლექსები მხოლოდ ფოლადის თლა იყო, ოცნებაში უფრო ადრე, ვიდრე მსოფლიო ომი იფეთქებდა, აშენებს ,,სიკვდილის ლითონის შვილებს"—დრედნოუტებს, მთელი ქვეყნიერების ნგრევა—დაპყრობის მძლე შიკრიკებს, რომელნიც ყოველ ქვეყანაში მისვლისას წმ. მარკოზის დროშის ააფრიალებენ დიდი, გარდაქმნილი იტალიის სახელით.

მაგრამ მათზე არანაკლებ სახელოვანი გაბრიელ დანუნციო, რომელსაც ამ ქვეყნად აღარა აკვირვებს რა არც მუშათა ქარხნული მჭვარტლიანი ორგია და არც დენდების ნარნარი ხელთათმანების განსაცვიფრებელი კოლექცია. [illegible]

ტუს მუნდუს" (,,მთლი სამყარო") უნდა გაამართლოს. და სინამდვილეში დ'ანუნციო მარინეტების არ იყვნენ, რომ ფიუმეს საკითხით გამარჯვებულ ანტანტასაც კი ბასრი მახვილი მოუქნიეს?

ამნაირად: პოეტები საზოგადოდ და განსაკუთრებით პოეტი ბატალისტები შემდეგ თუ გნებავთ, ფუტურისტები, არიან სწორედ ის ფხიზელი დიასტაქრები, რომელნიც მახვილად ყურს უგდებენ სამშობლო დედის მაცის ცემას. ჩვენს ფუტურისტებში ტიციან ტაბიძემ თავის მანიფესტით პოეტ ბატალისტის სახლი მოახვეჭა. ჩვენ გვწამს, რომ მას მრავალი თანამგზავრი გამოუჩნდება. ამიერიდან ჩვენს პოეტებს არა მარტო დაზისტანი და ტრაპიზონი ექნებათ ირრიდენტის ბრწყინვალე ობიექტათ, არამედ ზაქათალი, აფხაზეთი, არტაანიც, ყარსიც, ბამბაკიც, რომელთა დაკარგვით თბილისი ნავთლუღის ღია კარის ანაბარად დარჩა.

დღეიდან, გვწამს, ჩვენს პოეტებს ველარა შეაჩერებს რა, ვერც ინკვიზიციის ცეცხლი და ვერც ის გარემოება, რომ თუ თვალ ბედით მამლის მესამე დაყვირებაზე ჩვენი ერის დღევანდელ მესაჭეებმა დაჰხარეს დროშა და უარი ჰყვეს გოლგოთაზე მიმავალ საქართველოს სახელი, თუ მათ კოლექტიურ ეპეტრეს როლი იკისრეს და ჯვარზე გაკრული სამშობლო ,,მოხვეულ იდეად" გამოაცხადეს, მაშინ,—ჰო, ნურც ჰქმნას ღმერთმა ეს ასე მოხდეს,—მაშინ ისევ ეს პოეტი ბატალისტები დარჩებიან ერთად ერთი ერთგულნი, რომ ჯვარცმულს სისხლის წვეთები ცრემლებით [illegible]

დ. კახიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმეში მოსჩანან სურათები კარლ მარქსისა და სხვების. რამპის ორი მხრით: სურათები ნოე ჟორდანიასი და ირაკლი წერეთლის.

ლოდინით ატორტმანებულს ზალაში ნოე ჟორდანიას შემოჰყავს წარჩინებული სტუმარნი და სახალხო სახლის ტანი ზარზარებს ტაშის ცემით. აქ იყო ნამდვილი სიხარული.

სიტყვას იწყებს ნოე ჟორდანია და ეს სიხარული დიდს ოვაციაში გადადის. ნოე ჟორდანია არ არის მეტყველი. სამაგიეროდ მთელი მისი ფიგურა ლაპარაკობს. ბიბლიის სწორუპოვარი პროფილი განათებულია ძველი მესხური გამოხედვით. სითეთრე ხანშიშესვლისა კიდევ უფრო ამახვილებს ამ სინათლეს. ხმა რბილი და ნელი. სიტყვა ოდნავ შეჩერებული და უეცრად მოჭრილი. თქმა ფორმულებით ვიდრე განსჯითა. არ არის ნასახი აფექტაციის. აღელვებას ხანდახან უბრალო ჟესტები აცხადებენ. რწმენა მოციქულის და თავდება რაინდის. მთელი ეს ფიგურა უაღრესად დამაჯერებელია. ხედავ და გწამს პიროვნება. არის მასში ძველი ქართული სინელე და თავაზი. სირბილე უფრო მეტი ვიდრე სიმეხე. ყოველი პაუზა მისი სიტყვებისა ტაშის ცემით გძელდება და სიტყვის ბოლო აფრთოვანებით გადადის მასსათა გადალახვის უსაზღვროებაში.

ჟორდანიას შემდეგ ლაპარაკობს ფრანგულად ემილ ვანდერველდე. იგი ნამდვილი ტრიბუნია ამ სიტყვის ძველი მნიშვნელობით. მასში მეტყველებს ძველი რასსა ლატ ნთა და მთელს მის ფიგურაში გალლური ტემპერამენტი. იგი ფრანგული სტილის ორატორია. უფრო მომღერალი ვიდრე მთქმელი. უფრო არტისტი ვიდრე მოციქული. ხოლო მთქმელობაცა და მოციქულობაც შორიდან იხედებიან. იგი მეტყველებს მთელი კორპუსით. ტანის მაღლით რიტმიული აყვანა და განზე დაკოდილი კენტავრივით გავარდნა. ხელების ფრთებად გადაშლა და ხანდახან მათი რკალად მოკუმშვა. ყველა ამაში სჩანს მეომარი დაბადებით და დუელიანტი ახელებული. ვანდერველდეს სწყალობს რიტმი ფრანგული ენის. არც ერთს რასსას არ შეუქმია ისეთი რიტმიულობა სიტყვის მდინარებაში როგორიც შექმნეს ფრანგებმა. ვანდერველდემ იცის ზედმიწევნით რიტმი ფრანგულის. ფრანგულის ერთი მახვილი ვანდერველდეს თქმაში ილებს ათასნაირ ნიუანსებს. განსაკუთრებით ეხერხება მას რიტმების ნელი აგორება და თანდათან დართული აჩქარებით სადღაც შორს მოსხლეტით მათი ხმაურიანი გადასროლა. სახალო სახლს ასეთი ორატორი არ მოუსმენია და მთელი მასსა განცვიფრებით უსმენდა ტრიბუნის სიტყვას.

შემდეგ ილაპარაკა ჰიაბრიშვილმა. სიტყვა საქმიანი იყო და ცოტა გძელი.

ილაპარაკა გვარდიის უფროსმა ვალიკო ჯუღელმა. იგი უფრო მეომარია ვიდრე მეტყველი. ამას კიდევ ის ჰორკეცებდა, რომ მას ამ ორი წლის განმავლობაში რუსული ენა საკმაოდ დავიწყებია. მაგრამ არცა აქვს ალბათ ორატორის პრეტენზიები. ხედავ მის უდროვო ჭაღარას, რომელიც ათეთრებს ჯერ კიდევ ახალგაზდას, და გჯერა ადამიანი. მის სიტყვებში მოსჩანს უკანასკნელი გადაწყვეტა. გრძნობთ: საჭიროებისათვის უკან არ მოიხედავს უფსკრულში გადავარდება. მის პაუზებში ნათლად ხედავთ უძილო ღამეებს გვარდიასთან ერთად ველებში თუ ხრამეში გატარებულებს. მასსას უყვარს იგი და ეს ყველაფერს ლაპარაკობს.

ილაპარაკა აგრეთვე ჯუღელის ამხანაგმა დგებუაძემ. ხალხს ისიც ძალზე ჰყვარებია. აქვს პიროვნების მიმზიდველი უშუალობა. მგონი უკეთესი იქნებოდა ქართულად რომ ელაპარაკნა.

ოდნავი დისსონანსი შეიტანა „ესერის" თარხანოვის სიტყვამ კრებაში. იყო გესლი მის სიტყვაში. ლაპარაკობს კარგათ.

ყარაჯევისა და ნალბანდიანის შემდეგომ სიტყვა აიღო პროფესსორმა შალვ ნუცუბიძემ. მე პირველად ვიხილე იგი იმ საღამოს საჯაროდ მეტყველი. გამეგონა: კარგი ორატორია. უნდა სიმართლე ვსთქვა: ფრაზების გაშლა ეხერხება უთუოდ. მგონია: სამი საათი რომ ილაპარაკოს ერთიც არ შეჩერდება. მინდა მხოლოდ რამოდენიმე დეფექტი ავნიშნო. ორატორის სიტყვაში დიდი მნიშვნელობა აქვს პაუზებს. ვინც პაუზებს მოხერხებულად აკეთებს, იყავით დარწმუნებული, რომ იგი ყოველთვის მოახდენს გავლენას. შალვა ნუცუბიძემ პაუზების საიდუმლო ალბათ ჯერ არ იცის. მეორე: მთელი კორპუსის შეყვანა ლაპარაკში. ვანდერველდეს გვერდით ამ ხერხს ნუცუბიძე რასაკვირველია ვერ გაამართლებს, მესამე: შალვა ნუცუბიძემ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს თავის ხმას, ან უკეთ: ხმის ტონალობას. შთაბეჭდილება ასეთია, რომ იგი განგებ უშვებს ძირს ხმას და ოდნავ აგანიერებს მას, რომ სიტყვა იყოს უფრო დარბაისლური. ეფექტი სხვა გამოდის: კილო უჩვეულო და პათოსი ყალბი. რაც უნდა გულახდილი მეტყველებდეს ორატორი, ხმის ასეთი ტონით შეუძლებელია მოახდინოს სათანადო გავლენა.

საღამო იყო ნამდვილი ზეიმი ტფილისის მშრომელთა მასსების.

გივი ჯოლლენდ.

# ჩვენი კორესპონდენტები

## ქუთაისი

ლამაზია ქუთაისი თავის მდებარეობითა და ამწვანებული ბუნებით, ცოცხალია თვით მობინადრეთა ტემპერამენტით. მაღალ მთებიდან გადმოვარდნილი ჩქარი რიონია სიმბოლო მისი სიცოცხლისა. ამაყია იმერეთის ძველსატახტო ქალაქი: გეგ-რიონს დაჰყურებს მოწყვეტილი ჭადარი, პატიოსანი მოწამე სოლომონ მეფის მძიმე ზრახვებისა. მხოლოდ იგია უსიტყვო მატიანე იმერთა სამეფოისა. ბუნების მესაიდუმლე მისი ფოთლების ჩურჩულიდან, მოისმის იმერთა მეფის საიდუმლოებას.

მაღალი მთიდან, ბაგრატის ციხე, არწივივით ღავს დასცქერის იმერეთის დედა ქალაქს, იგი დღეს მისი წარსულის სიამაყეც, აქ ტანჯულან საქართველოს ფიქრით შეპყრობილნი მამულიშვილნი. აქ, ამ ცის ახლოს დაღვრილია სისხლი, ჩვენი წინაპრებისა ამიტომ არის იგი საქართველოსათვის უწმინდესი ადგილი და ამიტომ იყო რომ ამ უკანასკნელ რევოლიუციის პირველ დღეს, ქუთაისის ახალგაზრდობამ მიაშურა ქართველი ერის დიდების ნანგრევებს, და კოკისპირულ წვიმის ქვეშ მამულიშვილური ფიცი დასდო ტანჯულ სამშობლოს წინაშე. პირველად აქ გაისმა ქართველ მამულიშვილთა ხმა. ქუთაისი ყოველთვის ნამდვილი ქართულ ქალაქი იყო, აქ იკვანძებოდა საქართველოს ეროვნული ძარღვი, აქ ისინჯებოდა ქართველი ერის მაჯისცემაც. ეს არ გამოპარვიათ რუსებსა და ყოველი მათი ნაბიჯი ქუთაისის სასიკვდილოდ იყო მიმართული. მათ ხელოვნურად ააცდინეს იმერეთის დედა ქალაქს ბაქოს-ბათომ-ფოთის რკინის გზის ლიანდაგი და ამით მიჩმალეს უცხოელ მოგზაურთაგან მის სიმშვენიერე, ამით აართვეს ქუთაისის „დაფნის შტო", რომელსაც ეკონომიური წარმატება ჰქვიან. ამიტომ იყო, რომ ქუთაისი ეს იმერეთის ეკონომიური ბაზა სრულად არა სჩანდა. დრონი იცვალენ. რუსები საქართველოდან გაიქცნენ, ქართველი ერის თავის თავს პატრონა, გაშალა საუკუნის განმავლობაში ძალად შეკეცილი ერის ალამი და მის ქვეშ ასი წლის შეწყვეტილ ქართულ ისტორიის აღდგენა შეუდგა. მოსალოდნელი იყო საქართველოს ეროვნულ მაჯის—ქუთაისის გადახალისებაც, მისი წარმატებაც. იგი ამის ღირსი იყო მაგრამ პირიქით, დღეს უფრო მეტის აჩქარებულის ნაბიჯით მიექანება ქუთაისი სიკვდილისაკენ. აშკარად უნდა ითქვას, რომ საქართველოს აღდგენამ ქუთაისი შეიწირა.

ცენტრმა მიიზიდა ქართველი ინტელიგენცია. ცენტრმა მიიზიდა ვაჭარ მრეწველნიც, ქუთაისმა თანდათან დაცლა იწყო, და დღეს ქართველ ინტელიგენტს თავის შეწირვა მიაჩნია ქუთაისში დარჩენა. ქუთაისიდან გადადიან დაწესებულებებიც როგორც მაგალითად ჰიათურის შავი ქვის სინდიკატი, რომელსაც მეტი საერთო აქვს ქუთაისთან ვინემ თბილისთან. ე. ს. ქუთაისი იმდენად დაიცალა, რომ ქუჩაზედ ბლახი გაიზარდა და რომ არ გადაეთხარათ, ქალაქს „მიტოვებულ" ქალაქის სახეს აძლევდა. ვინც დარჩა, იმათაც აღარ ეცხოვრებათ სურსათ სანოვაგე გვერდს უხვევს ქუთაისის ბაზარს, რის გამოც იქ სურსათის დიდი ნაკლებობა და სიძვირეა. მთავრობა ხომ ამას ყურადღებას არ აქცევს! მისი დევიზია. „ყველაფერი ცენტრისათვის" და აბა პროვინციებს რას დაეძებს?!

უნდოდათ ქუთაისის ხონისათვის შემდეგ კი მთავარ ლიანდაგისათვის შეერთება „დაიწყეს კიდევ მუშაობა" გაიყვანეს ქალაქზე დროებითა ლიანდგი. გადაზიდეს საჭირო მასალა, აუარებელი ფული დახარჯეს. ახლა კი დროებითი ლიანდაგი აიღეს და მუშაობა სამუდამოდ შესწყვიტეს. რა მიზეზია არ ვიცით.

საჭირო არის მთავრობამ მეტი ყურადღება მიაქციოს ქუთაისს: გადაიტანოს იქ ისეთი დაწესებულებაი რომელთა ცენტრში ყოფნას არ საჭიროებს სახელმწიფო, აიძულოს კერძო დაწესებულებანი გადვიდნენ ქუთაისში.

დაეხმაროს ქუთაისის ქალაქის გამგეობას, და მისცეს ქუთაის. წყალი, სინათლე და სურსათი, რომელიც სპეკულიანტებს ჩავარდნიათ ხელში, და ვინიცის საით არ მიაქვთ. მთავრობა ჩვენს აზრით პროვინციებისათვისაც უნდა ზრუნავდეს.

თავის ისტორიულ მისიას მაშინ შეასრულებს ჩვენი მთავრობა, როცა აღადგენს არა მარტო თბილის, არამედ საქართველოს ყველა პროვინციებს. მაშინ იქნება ის საქართველოს და არა „თბილისის" მთავრობა.

ელიპსი.

# მდგომარეობა ანგარიშებისა

საქართველოს ცენტრალურ სავაჭრო-სამრეწველო ბანკისა

(დეპეშ. მისამ. ცენტრობანკი)

გამგეობა ქ. თბილისში.

განყოფილებანი ქ. ბათომში და ბორჯომში.

1-ლ სექტემბრისათვის 1920 წ.

| | | გამგეობაში. | | განყოფილებებში. | | ს უ ლ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **აქტივი** | | | | | | | |
| 1. კასა | | 12.770.196 | 86 | 8.093.789 | 67 | 20.863.986 | 53 |
| 2. მიმდინარე ანგარიშები: | | | | | | | |
| ა) ხაზინაში და სახელმწიფო ბანკში | 14.424.094—24 | | | | | | |
| ბ) კერძო ბანკებში | 5.795.123—10 | 20.219 217 | 34 | 1.216.459 | 89 | 21 435.677 | 23 |
| 3. განაღდებული ვექსილები არა ნაკლებ ორი ხელ. მომწ.: | | | | | | | |
| ა) სხვა და სხვა პირისა. | 28.514.000— | | | | | | |
| ბ) ამხ. „მწყემსის"-სა | 40.492.100— | 69.006.100 | — | 18.960.000 | — | 87 966 100 | — |
| 4. ვადიანი სესხი გირავნობის ქვეშ: | | | | | | | |
| ა) პროცენტები ქაღალდ. გარანტ. | | — | — | — | — | — | — |
| ბ) საქონლისა | | 41.554.930 | — | 37.726.634 | — | 79.281.564 | — |
| 5. საგანგებო მიმდ. ანგარიშები: | | | | | | | |
| ა) უზრუნველ-ყოფილი პროც. ქაღალდებით | | — | — | — | — | — | — |
| ბ) საქონლით | | 1.510.056 | 73 | — | — | 1.510.056 | 73 |
| 6. სარგებლიანი ქაღალდები ბანკის საკუთრება, გარანტიანი. | | 52.140 | — | — | — | 52.140 | — |
| 7. ბანკნოტები და უცხო ქვეყნის ვალიუტა | | 3.722.425 | — | — | — | 3.722 425 | — |
| 8. კორესპონდენტი: | | | | | | | |
| ა. კონტო ლორო | 4.027.912 29 | | | | | | |
| ბ. კონტო ნოსტრო | 1.519.905—29 | 5.547.817 | 58 | — | — | 5.547.817 | 58 |
| 9. განყოფილებანი და საავენტონი: ა) | 3.824.310—45 | | | | | | |
| ბ. თანხები გაუტარებელი განყოფ. მიერ | — — | 3.824.310 | 45 | — | — | 3 824 310 | 45 |
| 10 მოწყობილობა და ავეჯეულობა | | 1.034.965 | — | 598.586 | — | 1.633 551 | — |
| 11. გარდამავალი თანხები | | 4.917.903 | 85 | 203.644 | — | 5.121.547 | 85 |
| 12. ბანკის პერსონალთა კოოპერატივი „თანამშრომელი" | | 1.512.933 | 25 | — | — | 1.512.933 | 25 |
| 13. საორგანიზაციო ხარჯი | | 1.646.070 | 85 | — | — | 1.646.070 | 85 |
| 14. დასაბრუნებელი ხარჯი | | 127.247 | 25 | 3.840 | — | 131.085 | 25 |
| 15. ხარჯი უძრავ ქონებაზე | | 10.200 | — | — | — | 10.200 | — |
| 16. მიმდინარე ხარჯი | | 4.086.342 | 50 | 1.248.238 | 26 | 5.334.580 | 76 |
| 17. პროცენტებ. დარიცხულნი მიმდინ. ანგარიშებზე | | 118.172 | — | 1.903 | — | 120.075 | — |
| 18. საკომისიოთ მიღებული ვექსილები და საბუთები | | 17.227.605 | — | 4.391 413 | — | 21.619 018 | — |
| 19. უძრავი ქონება | | 20.380.009 | — | — | — | 20 380.009 | — |
| 20. აქციათა ანგარიში | | 2.232.500 | — | — | — | 2.232.500 | — |
| ბ ა ლ ა ნ ს ი | | 211.501.142 | 66 | 72 444.507 | 82 | 283.945.650 | 48 |
| **პასივი** | | | | | | | |
| 1. ძირითადი კაპიტალი | | 30·000.000 | — | — | — | 30.000.000 | — |
| 2. საორგანიზაციო ხარჯის ფონდი | | 1. 531.950 | — | — | — | 1.531.950 | — |
| 3. მიმდინარე ამგარიშები | | 132.063.710 | 27 | 41 338.709 | 18 | 173.402.419 | 45 |
| 4. მობარებული-თანხები (დებული), ვადიანი | | 10.000.000 | — | — | — | 10.000.000 | — |
| 5. კორესპონდეტები: | | | | | | | |
| ა) კონტო ლორო | — — | | | | | | |
| ბ) კონტო ნოსტრო | 1.584.771—58 | 1.584.771 | — | — | — | 1.584.771 | — |
| 6. პროცენტებ. გადასახადი მიმდინარე ანგარიშებზე | | 105.792 | 55 | — | — | 109.695 | 58 |
| 7. მიღებული პროცენტებ. და კომისია | | 11.266.198 | 78 | 6.142.553 | — | 17.408.752 | 78 |
| 8. შემოსავალი უძრავი ქონებიდან | | 26.660 | 85 | 76.200 | 19 | 102.860 | 04 |
| 9. მიღებული პროცენტებ. მომავალი 1921 წ. | | 8.292 | — | — | — | 8.292 | — |
| 10. 5 პროც. სახელმწიფო გადასახადი | | 518 | — | — | — | 518 | — |
| 11. ღერბის გადასახადი | | 8.712 | 76 | — | — | 8.712 | 76 |
| 12. გარდამავალი თანხები | | 6.986.751 | — | 4.908 958 | — | 11.895.709 | — |
| 13. გაუმართლებელი გარდასაგზ. ფულის ბარათები | | 688.180 | — | 651.505 | — | 1.339.685 | — |
| 14. ბანკის კომიტენტები. | | 17.227.605 | 42 | 4.391.413 | — | 21.619.018 | 42 |
| 15. გამგეობის ანგარიში განყოფილებებში ა) | 3.824.310—45 | — | — | 14.933.266 | 45 | — | — |
| 16. „ „ გაუტარებელი თანხები ბ) | 11.108.956— | — | — | | | 14.933.266 | 45 |
| ბ ა ლ ა ნ ს ი | | 211.501142 | 66 | 72.444.507 | 82 | 283.945 650 | 48 |

თავმჯდომარე გამგეობისა პ. ა. გოთუა

წევრები გამგეობისა: ქ. ნ. აფხაზი; ნ. ყ. თავდგირიძე

მთავარი ბუღალტერი ს. თ. კალანდარიშვილი

სარედაქციო კოლეგია.
მთავარი რედაქტორი: ხპ. კედია.

20 აგვისტოს ა. წ. მატარებელში მგზავრობის დროს დავკარგე საფულე რომელშიაც იყო მოწმობა ქუთაისის სამხედრო ბეგრის უფროსის მიერ მოცემული № 117, გიორგი მოსეძე ტოფაძის სახელზე და მასთან მეტრიკული ამონაწერი. რომლებიც გაუქმებულად ჩაითვალოს. ა—ა

**სამკურნალო**
ელექტრონის რენტგენის და სინათლის
**მიხეილ. გედევანიშვილისა**
დღისით 12—2 საათ. საღ. 6—8 საათ არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე. 3102. თვ.

**სახლები** განმარტოებულნი თავისუფალ ბინებით და შეგოსავლიანნი, შეიძლება შეიძინოთ და გაყიდოთ
დავითის ქ. № 3 ბინა 2 ყოფილ. გოლოვინის პრ. გვერდით (ნტელიგენტთა ჯგუფ. 3139 1—4

**სხვაგან სად! თუ არ სასადილო „ცამირომი"?!**
(ყოფილი „ეკონომია") შტაბის ქუჩა
**პუშკინის ბაღის პირდაპირ**
ვისაუზმოთ დილ. 10-12 ს.
ვისადილოთ „ 2--6 ს.
ვივახშმოთ „ 6--2 ს.
ამერ-იმერულ გემრიელ საჭმელებით, და დავლიოთ მაგარი სასმელები და მადნეულ წყლები.

შემთხვევით იყიდება
კაკლის ხის გარდერობი, კამოდი და ლომბერის სტოლი.
ელისაბედის ქ., № 89, ბინა 5. 3—1.

საჭიროა
**მოსამსახურე ქალი.**
მოიკითხეთ „საქართველოს" კანტორაში. 4—7—

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან